ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 99

8 აგვისტო 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
13:00 სთ

მოწვეული სტუმარი:

თბილისის მერიის საფინანსო საქალაო სამსახურის წარმომადგენელი - გაიოზ თალაკვაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, ალექსანდრე ხუჯაძე.
ქონების მართვის და საფიონანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე
დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ. (**№11-01252192776 საკრ.№15-03251933-03 7/08/2025)**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

საკითხი წარადგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, იზრდება „გზების მოვლა შეკეთება სამგორის რაიონში (პროგ/კოდი 01 01 15) წლიური ასიგნება 2 500 000 ლარით, თანხის გადმოტანა ხდება პროგრამიდან- „გზების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგ/კოდი 01 01 01). აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია სამგორის რაიონის გამგეობის მოთხოვნით, რომელიც ეხება გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ, კერძოდ: ვარკეთილი 3, 2მ/რ, კორპ. N25ა, N25, N24, N27, N28, N29, N30, N31 და N32-ის ეზოებში და მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული უკანონო შემოღობვების და ავტოფარეხების სრული დემონტაჟის შედეგად აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსების ეზოების და მისასვლელი გზების სრული რეაბილიტაციის საჭიროებას.
იზრდება ასევე პროგრამის „ვერის ბაღის რეაბილიტაცია“ (პრგ/კოდი 03 04 02) წლიური ასიგნება 1 800 000 ლარით, შესაბამისად მცირდება „ვაკის პარკის შადრევნების და კასკადების რებილიტაცია“(პროგ/კოდი 03 04 03) წლიური ასიგნება.
მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს “ნიუკონსი"-ს შორის, 2024 წლის 4 სექტემბერს გაფორმებული N03.04.02/30/214 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა ორგანიზაციამ აიღო ვალდებულება ქ. თბილისში, ვერის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე. სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილია რიგი გარემოებები, რამაც აჩვენა, რომ შადრევნის საპროექტო დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფდა ვერის პარკის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული შადრევნის იერსახისა და შადრევნის საპროექტო დოკუმენტაციისთვის წარდგენილი მოთხოვნების (მოქმედ ნორმატივებთან შესაბამისობა) დაკმაყოფილებას, რის გამოც საჭირო გახადა მისი პროექტის ელექტრულ, ტექნოლოგიურ და კონსტრუქციულ ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შადრევნის პროექტი არ მოიცავს შიდა ელექტრო განაწილებისა და ფილტრაციის სისტემის ქსელებს, შადრევნის ავტომატურ მართვასა და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოწყობილობებს, მათ სამონტაჟო გეგმებს და სქემებს, ასევე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი მოწყობილობების ინდივიდუალური დაცვის ელემენტებს. გამოვლენილი გარემოებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ხელშეკრულების ცვლილება და თანხის გაზრდა.
გარდა ამისა იზრდება მესამე კვარტლის ასიგნებები შემდეგ ქვეპროგრამებში:

„ გზების მოვლა - შეკეთება ვაკის რაიონში“ (კოდი: 01 01 12) ქვეპროგრამაში საქონელი და მომსახურების მუხლი- 800 000 ლარით. მოსალოდნელია მესამე კვარტლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება დაგეგმილთან შედარებით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში“ (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნებები -200 000 ლარით

„სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში“ (კოდი: 06 02 18 12) ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში სოციალური უზრუნველყოფის მუხლის III კვარტლის გეგმა- 200 000 ლარით, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებიდან შემოსული განცხადებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, მედიკამენტების და სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად

„კეთილმოწყობის ღონისძიბები ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი: 02 09 11)- 100 000 ლარით.

„კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“(პროგ/კოდი 08 05) – 300 000 ლარით.

თანხების გადმოტანა ხდება შესაბამისი პროგრამების მეოთხე კვარტლის გეგმიდან.

მომხრე-5 თავი შეიკავა-0 წინააღმდეგი-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეოებები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**